დამტკიცებულია:

ა(ა)იპ "გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის" რექტორის

2024 წლის 12 დეკემბრის №ო/53 ბრძანებით

ა(ა)იპ "გიორგი მთაწმნდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის" საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს ა(ა)იპ "გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის" (შემდეგ ტექსტში "უნივერსიტეტი") მიერ საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭების საფუძველსა და პროცესს.
2. უნივერსიტეტს უფლება აქვს, მეცნიერს, მუსიკოს-შემსრულებელს, ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის აკადემიური წოდება.
3. საპატიო დოქტორის წოდება შეიძლება მიენიჭოს პირს, იმის მიუხედავად, ეკავა თუ არა მას უნივერსიტეტში აკადემიური, სამეცნიერო ან/და ადმინისტრაციული თანამდებობა.

მუხლი 2. საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭების პირობები და საფუძველი

1. პირისათვის, რომელსაც მინიჭებული აქვს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ასევე, საზოგადო მოღვაწისთვის, ან მუსიკოს-შემსრულებლისთვის, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება აქვთ, საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭების საფუძველი შეიძლება გახდეს:

   ა) უნივერსიტეტში ნაყოფიერი სასწავლო-სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა;

   ბ) აკადემიურ განათლებასა და სამეცნიერო კვლევის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი;

   გ) ქართული ტრადიციული მუსიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი;

   დ) განსაკუთრებული მნიშვნელობის მეცნიერული მიღწევა;

   ე) უნივერსიტეტის განვითარებისათვის გაწეული განსაკუთრებული სამსახური;

ვ) საზოგადოების წინაშე არსებული დამსახურება.

2. საპატიო დოქტორის წოდება შეიძლება მიენიჭოს როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს.
3. საპატიო დოქტორის წოდების მქონე პირებზე არ გაიცემა ანაზღაურება.

მუხლი 3. საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭების წესი

1. საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.
2. საპატიო დოქტორის აკადემიურ წოდებაზე წარდგენის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს, ან/და ფაკულტეტის დეკანს.
3. ფაკულტეტის საბჭო, ან/და ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორს პირის საპატიო დოქტორის აკადემიურ წოდებაზე წარდგენასთან ერთად, წარუდგენს ამ წესის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, დოკუმენტაციასა და დასკვნას წოდების მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.
4. საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების მინიჭების თაობაზე გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

მუხლი 4. წესის დამტკიცება და ძალაში შესვლა

1. წესს დამტკიცდეს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
2. წესში დამატებები და ცვლილებები შევიდეს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
3. წესი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე.